მურმან ბაქრაძე

პერსონალური ინფორმაცია

სახელი გვარი:	**მურმან ბაქრაძე**
დაბ. თარიღი:	1953-04-15
სქესი:	მამრობითი
მოქალაქეობა:	საქართველო
ტელეფონი:	599552717
ელ-ფოსტა:	bakradzemurman01@gtu.ge

განათლება

აკადემიური ხარისხი:	დოქტორი/დოქტორთან გათანაბრებული
საგანმანათლებლო დაწესებულება:	სმედსი
კვალიფიკაცია:	ეკონომიკურ მეცნიერებათა კანდიდატი
მინიჭების თარიღი:	1987-01-30
ქვეყანა:	საქართველო

აკადემიური ხარისხი:	მაგისტრი/მაგისტრთან გათანაბრებული
საგანმანათლებლო დაწესებულება:	თსუ
კვალიფიკაცია:	ინჟინერ-ეკონომისტი
მინიჭების თარიღი:	1975-06-27
ქვეყანა:	საქართველო

საგანმანათლებლო პროგრამების ხელმძღვანელობა

საბაკალავრო პროგრამა "მშენებლობის ინჟინერია და მენეჯმენტი"

სამაგისტრო პროგრამა "მშენებლობის ინჟინერია და მენეჯმენტი"

ენები

- რუსული
- ქართული

დამატებითი ინფორმაცია

ქცევის კოდექსი ქვეყანაში ჯანსაღი სამეწარმეო გარემოს დამკვიდრებისათვის

საბაზრო-ეკონომიკური ურთიერთობის პირობებში, სახელმწიფოს წარმატებული მშენებლობა დამოკიდებულია ორ უმნიშვნელოვანეს გარემოებაზე: ქვეყანაში ბიზნესის ეფექტური წარმართვისათვის სასურველი სამეწარმეო გარემოს დამკვიდრებასა და საბიუჯეტო სახსრების სახელმწიფო და მუნიციპალური განვითარების პროგრამების შესატყვისი, მიზანმიმართულ

ხარჯვაზე.

სამეწარმეო გარემო ეს არის სახელმწიფო საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების ნება, ქვეყანაში მოქმედი სამართლებრივი და ნორმატიული აქტების მეშვეობით, ქვეყნის თითოეულ მოქალაქეს ერთნაირი სასტარტო პირობები შეუქმნას ცალკეული ბიზნეს-იდეის რეალიზაციის პროცესში. ბიზნესის ყოველი მიმართულება უნდა ვითარდებოდეს აბსოლუტურად თავისუფალი კონკურენციის პირობებში, ყველა ინტელექტუალისათვის, რომელსაც ცივილიზებული ფორმით, საკანონმდებლო ჩარჩოების სრული დაცვით აქვს გადაწყვეტილი ბიზნესის კეთება, სახელმწიფო მოხელეთა მხრიდან უნდა ჰქონდეს ერთსულოვანი მხარდაჭერა ყველა იმ რესურსებზე წვდომის, რომელნიც რაიმე ფორმით შეიძლება წაადგეს თითოეულ მათთაგანს ბიზნესის კეთების პროცესში, დაწყებული უფასო კონსულტაციებით სამეწარმეო გარემოს შემეცნებით საკითხებზე და დამთავრებული სახელმწიფო ბიუჯეტიდან კერძო, რეალური ბიზნეს-პროექტების თანადაფინანსებით.

ზემოაღნიშნული სტრატეგიული საკითხების წარმატებით გადაწყვეტის მიზნით სრულყოფილი პასუხი უნდა გაეცეს რამოდენიმე უმნიშვნელოვანეს კითხვას: კერძოდ, თუ საიდან იწყება ბიზნეს-გარემოს ფორმირება, როგორ და ვისი მეშვეობით ხორციელდება ქვეყანაში ბიზნესის კეთებისათვის ხელშემწყობი რეჟიმების დამკვიდრება და სად მთავრდება მთავრობების ჰარმონიული დამოკიდებულება თავისუფალი კონკურენციისადმი. რა მოვლენები, ან ფაქტორები აგდებს დეპრესიაში ქვეყნის ეკონომიკას, ამცირებს დასაბეგრ ბაზასა და შესაბამისად საბიუჯეტო შემოსავლებს. რა არასწორი გადაწყვეტილებების შემთხვევაში ემუქრება სახელმწიფოს მშენებლობის პროცესს კრახი?

ამ და სხვა კითხვებზე სწორი პასუხების მოძიება ვერ შეიძლება თავმოყრილი იყოს რომელიმე ერთ სახელმძღვანელოში, ვინაიდან საზოგადოებრივი განვითარების საკითხებზე დღესდღეობით კვლავაც მრავლად რჩება პასუხგაუცემელი კითხვები, კაცობრიობა კვლავაც დედამიწაზე ღმერთის მიერ ბოძებული ყველა სახის რესურსების რაციონალურად განკარგვის ძიების პროცესშია... ასე რომ ჩვენი თაობისა და მომავალი პლანეტარების უპირველესი მიზანი და ამოცანები, კვლავაც, მანამდე ამოცნობილი თუ ამოუცნობი რესურსების კაცობრიობის სამსახურში ჩაყენებისაკენ უნდა იქნას მიმართული.

ერთია ჭეშმარიტება, რომ დედამიწაზე არ არის იმდენი რესურსი, რომელიც ცივილიზებული სამყაროს წინაშე წარმოშობილ ყველა მოთხოვნილებებს დააკმაყოფილებდა ერთი პერიოდის განმავლობაში. ვერც ერთი ქვეყნის ხელისუფალი ვერ მოიძიებს თავის ქვეყანაში, თუ ქვეყნის ფარგლებს გარეთ იმ რაოდენობის სანედლეულო, მატერიალურ-ტექნიკურ და ფინანსურ რესურსებს, რომელიც მოსახლეობის წინაშე მდგარ ყველა პრობლემას, მათ წინაშე მდგარ მიზნებსა და ამოცანებს მოაგვარებდა.